

HSBC იღებს საქართველოდან გასვლის გადაწყვეტილებას

გლობალური სტრატეგიის ცვლილების შედეგად HSBC-მ მიიღო გადაწყვეტილება, დატოვოს საქართველოს საბანკო ბაზარი. გადაწყვეტილება ეფუძნება მისში HSBC ჯგუფის მიერ ეგრეთ წოდებულ 'სტრატეგიის დღეზე' გაკეთებულ განცხადებას ბიზნეს პორტფელის გადახედვის თაობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ HSBC ბანკი ატარებს სტრატეგიას, გახდეს წამყვანი საერთაშორისო ბანკი, აქტუალური გახდა კაპიტალის გადანაწილება ჯგუფში. საქართველოს ბაზრიდან გასვლის გადაწყვეტილება არის პოლონეთისა და რუსეთის საცალო ბიზნესის დახურვის ლოგიკური გაგრძელება.

HSBC-ს 100%-იან მფლობელობაში არსებული კომპანიის, ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველოს დახურვის პროცესი იწყება ახალი ბიზნესებისთვის მომსახურების შეჩერებით. მიუხედავად ამისა, არსებულ მომხმარებლებს ბანკი გაუნეწვს სრულ საბანკო მომსახურებას საკონტრაქტო ვალდებულებების შესაბამისად. ბანკის საბოლოოდ დახურვა დაგეგმილია 2012 წლის დასაწყისისთვის. აღნიშნულ დრომდე HSBC უზრუნველყოფს არსებული მომხმარებლების შეუფერხებელ გადასვლას სხვა საბანკო ინსტიტუტებში.

ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველოს გენერალურმა დირექტორმა გაი ლუისმა განაცხადა: „HSBC საქართველო მომხმარებლებს სთავაზობდა საბანკო მომსახურების არასრულ სპექტრს და მიუხედავად ქვეყანაში გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, ვთვლით, რომ ამჟამად დადგა ბაზრიდან გასვლის დრო. იმისათვის, რომ პროცესი უმტკივნეულოდ წარიმართოს, ბანკი უზრუნველყოფს სწორი და დროული ინფორმაციის მიწოდებას მარეგულირებელი ორგანოსთვის, ბანკის თანამშრომლებისა და მომხმარებლებისათვის. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩემს კოლეგებს საქართველოში მათი ძალისხმევით და საქმისადმი ერთგულებისთვის“.

შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით პოლ ჰარისს + 44 (0) 20 7992 2045 ან paul1.harris@hsbc.com

ends/more

შენიშვნა რედაქტორს:

HSBC Holdings plc

HSBC ჯგუფის დამფუძნებლის – HSBC Holdings plc–ის, სათაო ოფისი მდებარეობს ლონდონში. მსოფლიოს 80 ქვეყანაში, 7,500 ოფისიდან, ჯგუფი ემსახურება მომხმარებელს ევროპის, აზიის, ამერიკის და აფრიკის ტერიტორიებზე. ჯგუფის აქტივები 2011 წლის ივნისის მდგომარეობით შეადგენს 2,691 მილიარდ აშშ დოლარს. HSBC არის მსოფლიოს ერთ-ერთი უმხვილესი საბანკო და საფინანსო ორგანიზაცია.

ends/all